F 75 N2232

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 36-ე წელი № 1 (10395) | კვირა, 1 იანვარი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის
ამხ. კ. ე. ვოროშილოვის საახალწლო სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძვირფასო მოქალაქენო!

სულით და გულით მოგილოცავთ მომავალ ახალ წელს!

გასული 1955 წელი მდიდარი იყო თვალსაჩინო მოვლენებით. ეს იყო მშვიდობის განმტკიცებისათვის აქტიური და წარმატებითი ბრძოლის წელი. ამ წელს საბჭოთა ხალხმა მიაღწია დიდ შრომითს გამარჯვებას — წარმატებით და ვადამდე დაამთავრა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა.

თვალს გადაავლებენ რა გასულ წელს განვლილ გზას, საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ თქვან: ჩვენ ბეჯითად და კარგად ვიმუშავეთ, და მშვიდობიანმა შრომამ შესანიშნავი ნაყოფი მოგვიტანა. ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებზე შექმნილია მრავალი ფაბრიკა და ქარხანა, მძლავრი ჰიდროსადგურები, ახალი მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები, აშენებულია ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები და სამკურნალო დაწესებულებები, კულტურის სახლები და კლუბები. გატეხილი და ათვისებულია ყამირი მიწების ახალი მასივები. ჩვენმა სახალხო მეურნეობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

დიდი საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის მიერ დარაზმული და მისი ხელმძღვანელობით. თავისი შემოქმედებითი შრომით ჩვენს სამშობლოს წლითიწლობით სულ უფრო მძლავრსა და ლამაზს ხდის.

შევდივართ რა ახალ, 1956 წელში, ჩვენ ვფიქრობთ არა მარტო მიღწეულზე, არამედ აგრეთვე ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებზე, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაზე, კომუნისტური მშენებლობის შემდგომ განვითარებაზე. ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა საბჭოთა ადამიანს ამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო წარმატებით განვითარონ მძიმე ინდუსტრია, მიაღწიონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ განუწყვეტელ ზრდას, გააფართოონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, კიდევ უფრო მეტი აშენონ საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები, უზრუნველყონ ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

საბჭოთა კავშირმა განვლილ წელს განსაკუთრებული ძალით გვიჩვენა თავი როგორც მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯმა; საბჭოთა კავშირის აქტიურმა სამშვიდობო პოლიტიკამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა „ცივი ომის“ მომხრეთა მხილებაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, ომის ბანგისაგან საერთაშორისო ატმოსფეროს შესამჩნევ გაწმენდაში.

ისეთმა დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა, როგორიც იყო ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი, ბანდუნგის კონფერენცია, კეთილნაყოფიერად შეუწყეს ხელი მშვიდობის განმტკიცებას, ხალხთა ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებას. და თუმცა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების შემდგომ თათბირზე, დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის გამო, ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, მიუხედავად ამისა ჟენევის სულისკვეთება ცოცხლობს ხალხთა გულში.

მთელი დედამიწის ხალხები სულ უფრო აქტიურად მოითხოვენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას.

საბჭოთა მთავრობამ აჩვენა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის ღირსეული მაგალითი. საბჭოთა კავშირმა 640 ათასი კაცით შეამცირა თავისი არმია, კუთვნილებისამებრ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას პორტ-არტურის სიმაგრე და სამხედრო-საზღვაო ბაზა, მოახდინა პორკალა-უდის საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის ლიკვიდაცია, თითქმის 10 მილიარდი მანეთით შეამცირა თავდაცვის ხარჯები მომავალ წელს და ამასთან ბევრად გაადიდა ასიგნობანი საბინაო მშენებლობისა და კულტურულ-სოციალური ღონისძიებებისათვის.

ამხანაგების ბულგანინისა და ხრუშჩოვის მოგზაურობა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში სამართლიანად შეაფასა არა მარტო აღმოსავლეთის სტუმართმოყვარე ქვეყნების საზოგადოებრიობამ, არამედ დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანმაც როგორც ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის იდეის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების უდიდესი გამამჯვები. ამ საფუძვლებზე დამყარდა და კვლავ განმტკიცდება საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა დიდი ინდოეთის რესპუბლიკის, ბირმისა და ავღანეთის ხალხებთან.

წლითიწლობით სულ უფრო იზრდება სსრ კავშირის შრომელთა ურღვევი ძმური მეგობრობა დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სოციალიზმისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის ხალხებთან.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმება ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალიზაციას იუგოსლავიის მოძმე ხალხებთან, რომლებიც სოციალიზმის საფუძვლებს აშენებენ.

ჩვენი ქვეყანა ახალ წელს ეგებება ღირსშესანიშნავი მოვლენის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის წინ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვთქვათ მტკიცე რწმენა, რომ მომავალ წელს ჩვენი გმირი ხალხი, კომუნიზმის მშენებელი ხალხი ახალ, კიდევ უფრო მეტ მიღწევებს მოიპოვებს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ძვირფასო ამხანაგებო! კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მოგილოცავთ ახალ წელს ყველას — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, საბჭოთა ქალებს, ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას!

მხურვალედ მივულოცავ აგრეთვე და საახალწლო კეთილ სურვილებს ვუძღვნი მშვიდობის ყველა გულწრფელ მეგობარს, ყველა მშვიდობის მოყვარე ხალხს.

დაე მომავალი წელი იყოს ჩვენი საყვარელი სამშობლოს კიდევ უფრო მეტი აყვავების, კიდევ უფრო მტკიცე მშვიდობის წელი, საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების წელი, ყველა ხალხთა შორის მზარდი მეგობრობის წელი.

მოგილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
ნ. ა. ბულგანინის საახალწლო განცხადება

საფრანგეთ-ინგლისის პატე-მარკონის რადიოტექნიკურმა კომპანიამ თხოვნით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს გააკეთოს საახალწლო განცხადება მსოფლიოს ყველა რადიოსადგურით 1956 წლის 1 იანვარს გადასაცემად.

ქვემოთ ქვეყნდება ნ. ა. ბულგანინის საახალწლო განცხადება:

„გულითადად მივულოცავ ახალ წელს ყველა ჩვენს მსმენელს, სადაც უნდა იყვნენ ისინი, და ვუსურვებ ბედნიერებას, სიხარულსა და წარმატებას ცხოვრებაში.

დღეს რომ მილიონობით ადამიანს ვკითხოთ, რა არის მათი ყველაზე სანუკვარი სურვილი, ისინი, ალბათ, არ დაფიქრდებიან და ისე გვიპასუხებენ: მშვიდობა.

ხალხებს შეუძლიათ იცხოვრონ და კიდევაც უნდა იცხოვრონ მშვიდობითა და მეგობრობით. მათ მშვიდობა სურთ იმიტომ, რომ იგი თვითეულ ადამიანს მისცემს ხვალინდელი დღის რწმენას, იხსნის შეიარაღების მძიმე და უსარგებლო ტვირთისაგან, უზრუნველყოფს მშვიდობიანი შრომისა და უკეთესი ცხოვრების აშენების შესაძლებლობას.

ჩვენ ვემხრობით სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას იმიტომ, რომ ეს შეესაბამება ყველა ქვეყნის ხალხების სანუკვარ მისწრაფებას.

ამ ფიქრებით ვიღებდით მონაწილეობას მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის მომწიფებულ საერთაშორისო საკითხებზე შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევის მიზნით. ამ გზის სისწორეში ჩვენ კიდევ უფრო დავრწმუნდით ჩვენი ამასწინანდელი მოგზაურობის დროს ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში. ჩვენი მეგობრობა ამ ქვეყნებთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ემყარება ცნობილ ხუთ პრინციპს. ეს არის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები.

ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა ქვეყნის მიერ ამ პრინციპების გამოყენება დიდმნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე. ჩვენ ვიცით, რომ ამ გზაზე ცოტა დაბრკოლება და სიძნელე როდია, მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ, თუ იქნება ყველა სახელმწიფოს კეთილი ნება და მშვიდობისადმი მისწრაფება, შეიძლება მათი გადალახვა და შეთანხმება მომწიფებულ საკითხებზე. განვლილმა წელმა ამის ცოტა მაგალითი როდი მოგვცა. მაშ ვიშრომოთ კიდევ უფრო მტკიცედ და ბეჯითად, რათა 1956 წელმა ღირსეულად განაგრძოს და გაამრავლოს თავისი წინამორბედის მიღწევები.

ვისურვოთ, რომ ახალი წელი იყოს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შემდგომი შენელების წელი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების წელი“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
ნ. ა. ბულგანინის პასუხი
საგზელევიზიო და ქრონიკალური კომპანიის „ჟენენიუსის“ ვაშინგტონის ბიუროს გამგის ჩ. შაჯის კითხვებზე

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჟენევის სულისკვეთება, რაც გამოვლინდა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე მიმდინარე წლის ივლისში, ისევ ცოცხალია და კვლავაც იცოცხლებს?

პასუხი: ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის ისტორიული მნიშვნელობა ის იყო, რომ თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებამ, რაც მისმა მონაწილეებმა გამოიჩინეს, შექმნა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესების რეალური შესაძლებლობანი, შექმნა ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის პერსპექტივები.

ყველა ქვეყნის ხალხებს სურთ მშვიდობა და სძულთ ომი. ისინი მოითხოვენ, რომ ჟენევის სულისკვეთება, ხოლო მასთან ერთად მშვიდობისა და უკეთესი მომავლის იმედი, იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს.

სწორედ ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იმას, რაც სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე გაკეთდა და რამაც უკვე შეასრულა თავისი დიდმნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებაში, ვერავინ დაასამარებს.

კითხვა: რამდენადაც საგარეო საქმეთა მინისტრების ამასწინანდელი ჟენევის თათბირი ფაქტიურად ჩიხში მოექცა, რა აზრისა ხართ ოთხი სახელმწიფოს მეთაურთა ახალი თათბირის მოწვევის შესახებ?

პასუხი: თუმცა, როგორც ცნობილია, საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე ვერ იქნა მიღწეული განხილულ საკითხთა შეთანხმებული გადაჭრა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ თათბირმა ხელი შეუწყო მის მონაწილეთა პოზიციების შემდგომ გამორკვევას, რამაც უნდა გააადვილოს ამ საკითხების გადაჭრა მომავალში.

რაც შეეხება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ახალ თათბირს, ასეთი თათბირი შეიძლება ნაყოფიერი იყოს, რა თქმა უნდა, თუ თათბირის ყველა მონაწილე მომწიფებული საერთაშორისო საკითხების განხილვას მიუდგება ისე, რომ ჯეროვნად გაითვალისწინოს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები.

კითხვა: ბევრი მიმომხილველი ამერიკის შეერთებულ შტატებში და საზღვარგარეთ იმ აზრისაა, რომ ატომის ჩიხი იმის შედეგია, რომ თერმოატომგულის იარაღი აქვს როგორც აღმოსავლეთს, ისე დასავლეთს. რა აზრისა ხართ იმის შესახებ, რომ ამ საშინელმა იარაღმა შეიძლება ავტომატურად გამორიცხოს წყალბადის ომის შემზარავი შესაძლებლობა?

პასუხი: თუ „ატომის ჩიხზე“ ვილაპარაკებთ, იგი სულაც არ არის იმის შედეგი, რომ არსებობს თერმოატომგულის იარაღი. ის ფაქტი, რომ დღემდე ვერ გადაიჭრა ატომური და თერმოატომგულის იარაღის აკრძალვის საკითხი, იმის შედეგია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოს არა სურს დათანხმდეს ატომური და თერმოატომგულის იარაღის აკრძალვაზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი ყოველთვის მოითხოვს, რომ შემცირდეს შეიარაღება და შეიარაღებული ძალები, უთუოდ აიკრძალოს ატომური და თერმოატომგულის იარაღი და დაწესდეს ქმედითი საერთაშორისო კონტროლი ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების განხორციელებისადმი. ასეთი გადაწყვეტილების მიღება იხსნის ხალხებს ახალი ომის შიშისაგან, ბოლოს მოუღებს სამძიმო გამალებულ შეიარაღებას და საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს მთელი თავიანთი რესურსები გამოიყენონ მშვიდობიანი განვითარებისათვის, ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

სწორი არ არის იმის მტკიცება, რომ რადგან წყალბადის იარაღი აქვს აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, თერმოატომგულის ომის შესაძლებლობა ავტომატურად გამორიცხულია. ასეთი მტკიცებას სინამდვილეში შეუძლია მიაძინოს ხალხების სიფხიზლე, რომელნიც იბრძვიან ატომური ომის საფრთხის აღკვეთისათვის.

რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ ახლანდელ პირობებში დაუსჯელად არ შეიძლება ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება, ერთგვარ შემაკავებელ გავლენას ახდენს იმ წრეებზე, რომლებსაც სურთ დაიწყონ ომი და გამოიყენონ მასობრივი მოსპობის საშუალებანი. სწორედ ამ წრეებიდან ვრცელდება საშიში მტკიცებანი, თითქოს მშვიდობის შენარჩუნება შეიძლებოდეს „ატომური ძლიერების“ განმტკიცებითა და გამალებული შეიარაღების განგრძობით.

ცხადია, რომ გამალებული შეიარაღება, ამასთან გამალებული ატომური შეიარაღება, არა მარტო არ ანელებს, არამედ, პირიქით, აძლიერებს ახალი ომის საფრთხეს. ამიტომ საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ეგრეთწოდებული ატომის ჩიხიდან გამოსავალია არა გამალებული შეიარაღების განგრძობა, არამედ ახალი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ და გამალებული შეიარაღების შეწყვეტას.

კითხვა: როგორია, თქვენი აზრით, მშვიდობის პერსპექტივები მომავალ წელს?

პასუხი: გასული წელი აღინიშნა იმ ძალების სერიოზული წარმატებებით, რომლებიც თანმიმდევრულად და აქტიურად იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. ბევრი იმთგანისათვის, ვისაც წინათ ეს ეეჭვებოდა, ახლა ნათელი გახდა, რომ ჩვენს დროში საერთაშორისო თანამშრომლობა და ნდობა ისეთი მიზანია, რომლის მიღწევაც სავსებით შესაძლებელია.

ეჭვი არ არის, რომ თუ ყველა ქვეყნის მთავრობები, და პირველ რიგში დიდ სახელმწიფოთა მთავრობები, გაითვალისწინებენ რა ხალხების დაუძლეველ მისწრაფებას მშვიდობისადმი, საქმით იბრძოლებენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და საახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებისათვის, 1956 წელს მიღწეულ იქნება ახალი წარმატებანი „ცივი ომის“ შეწყვეტისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებისათვის ბრძოლაში.

კითხვა: ხომ არა გსურთ რაიმეთი მიმართოთ მსოფლიოს ხალხებს, კერძოდ ამერიკელ ხალხს?

პასუხი: მინდა ვისარგებლო ამ შესაძლებლობით, რათა გადავცე ამერიკელ ხალხს გულითადი სალამი და საუკეთესო სურვილები საახალწლოდ. ისტორიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხებს შეუძლიათ იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრულად. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთგაგების განვითარება და განმტკიცება დიდი წვლილი იქნება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

1956 წელი

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!.. რა დიდი სითბო და სიყვარულია ჩაქსოვილი ამ უბრალო სიტყვებში. შთამაგონებელ ახალწლის დილით ეს სიტყვები გაისმის როგორც გულში ჩამწვდომი მელოდია, როგორც სიმღერა სიცოცხლისა. სიყვარულისა, მშვიდობისა, კეთილის მიერ ბოროტის ძლევისა.

ახალი წლის მოსვლა იმიტომ გვიხარია, რომ ყოველ ახალ წელს ახალი გამარჯვება და უსაზღვრო სიხარული მოაქვს ჩვენთვის. გვახარებს ახალი წელი, მაგრამ არ ვივიწყებთ ძველს. ან როგორ შეიძლება დავივიწყოთ მეხუთე ხუთწლედის დამამთავრებელი 1955 წელი. მან ბევრი რამ მოუტანა სახელოვან საბჭოთა ხალხს, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების საქმეში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ და შეუნელებელი ინტერესით ავითარებენ მძიმე მრეწველობას, წარმოების საშუალებათა წარმოებას. მწყობრში დგება ახალი კომბინატები, ფაბრიკები, ქარხნები, ელექტროსადგურები.

მრეწველობის განუხრელი აღმავლობა ხელს უწყობს ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მექანიზაციას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულმა კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ნათესი ფართობები გაადიდეს 28 მილიონი ჰექტარით, ძირითადად ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებით. სიმინდის ნათესი ფართობები შარშან წინა წელთან შედარებით ერთიოთხად გაიზარდა. მიღებულია მეტი მარცვლეული, ვიდრე 1954 წელს, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა.

ჩვენი კოლმეურნეები, მეცხოველეები, მექანიზატორები, სპეციალისტები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სულ უფრო გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

1955 წელი საამაყო მაჩვენებლებით დაამთავრეს საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებმაც. რესპუბლიკის მთელმა რიგმა საწარმოებმა, ფაბრიკებმა და ქარხნებმა, მაღაროებმა და შახტებმა წლიური გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. გაიფურჩქნა და აყვავდა ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 1 მილიონ 161 ათასი ფუთი პური, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, აბრეშუმის პარკის, შაქრის ჭარხლის, მატყლის დამზადებათა გეგმები.

რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც გაიჩაღეს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, ძალღონეს არ ზოგავენ იმისათვის, რომ ჯანსაღად გამოაზამთრონ პირუტყვი, გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, კარგად მოემზადონ საგაზაფხულო თესვისათვის და უზრუნველყონ უხვი მოსავლის მიღება.

საბჭოთა ხალხი ემშვიდობება დაუვიწყარ 1955 წელს, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელების წელი, ხალხთა შორის თანამშრომლობის გაფართოებისა და მშვიდობის განმტკიცების წელი.

გასული წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში. ეს მოგზაურობა გადაიქცა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად, რომელიც ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შემდგომ შენელებას. ეს მოგზაურობა და მისი შედეგები ერთსულოვნად მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ, რომელმაც ამ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

გასულმა წელმა იმედები გაუცრუა ახალი ომის გამჩაღებლებს, რეაქციის ბნელ ძალებს. მათ ახალი წელიც კარგს არას უქადის. ბევრიც რომ ეცადონ, ბნელეთის მოციქულები ვერ შეაჩერებენ ისტორიის მსვლელობას. ისტორია თავისი გზით მიდის. ამ გზას ხალხის კეთილდღეობისაკენ მივყავართ. მომავალი ხალხს ეკუთვნის.

ძლევამოსილ საბჭოთა ხალხთან ერთად ნათელი გზით მიემართებიან თავისუფალი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებიც, რომლებიც წარმატებით აშენებენ ახალ, ბედნიერ ცხოვრებას.

საბჭოთა ხალხი მთელი გულისყურით ადევნებდა თვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მუშაობას, აღფრთოვანებულია სესიის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანებით და იწონებს მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის ბიუჯეტს, რომელიც 1956 წელს სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად მთლიანად ითვალისწინებს 346.984.199 ათას მანეთს, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — 161.505.181 ათას მანეთს, ამავე დროს სამხედრო ხარჯები შემცირებულია თითქმის 10 მილიარდი მანეთით. საბჭოთა ხალხი აღვსილია მისწრაფებით, წარმატებით განახორციელოს 1956 წლის ბიუჯეტის ციფრებით გამოხატული ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიადი პროგრამა.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანები, რომლებიც უდიდესი სიხარულით ეგებებიან ახალ 1956 წელს, რწმენით შეჰყურებენ მომავალს. მათ იციან, რომ ეს წელი იქნება ჩვენი ქვეყნის ძალისა და ძლიერების შემდგომი ზრდის წელი, მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში ახალ, ბრწყინვალე გამარჯვებათა წელი, მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის წარმატებითი ბრძოლის წელი.

მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი დროშით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურმა სამრეწველო დენი გამოუშვა

1955 წლის 29 დეკემბერს 17 საათსა და 18 წუთზე კუიბიშევის ენერგოსისტემის ქსელში ჩართეს კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ჰიდროაგრეგატი, რომელმაც გამოუშვა სამრეწველო დენი.

(საკდესი).

გორკის ჰესის მეოთხე აგრეგატმა დენი გამოუშვა

გორკი. 31 დეკემბერი. (საკდესი). დაძლიეს რა აუსხიანი ზამთრის ძნელი პირობები, გორკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები და მემონტაჟეები ახალი შრომითი წარმატებებით ეგებებიან 1956 წელს. სამი დღის გამოცდის შემდეგ გუშინ საღამოს მწყობრში ჩადგა მეოთხე აგრეგატი. მან გამოუშვა სამრეწველო დენი.

გორკის ჰესის პირველმა სამმა მოქმედმა აგრეგატმა ამუშავების შემდეგ 30 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია გამომუშავა. მემონტაჟეები ასამუშავებლად ამზადებენ მეხუთე აგრეგატს.

ნათელი პერსპექტივა

დროებით მიწყდა დაზგებისა და მანქანების გუგუნი ქარხნებსა და ფაბრიკებში, კარი გამოიკეტეს სამქროებში, კაბინეტებში, ლაბორატორიებში, საპროექტო სახელოსნოებში მომუშავეებმა. მარტოდ დარჩნენ დარაჯები, აქა-იქ აციაფდნენ სამორიგეო ადგილებზე ელექტრონათურები...

ახალწლის წინა საღამოა.

საახალწლო ფიქრებით, ნათელ ხვალინდელობაზე მკაფიო პერსპექტივებით, მომავალი წლის სამუშაო პროგრამებით აღფრთოვანებული ბრუნდებოდნენ შინ მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, გეოლოგები, ენერგეტიკოსები, მანქანათმშენებლები, ლაბორანტები...

შუბლნათელნი, ამაყად, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილის შეგნებით გადასცქეროდნენ ისინი 1955 წლის სიმაღლიდან მეხუთე ხუთწლედის განვლილ გზას და თამამად ეგებებოდნენ ახალ, მომავალ გამარჯვებათა მოპოვების, მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მწვერვალთა დაპყრობის, ავტომატიკის, ელექმექანიკის, ელექტრონიკის ფართოდ დანერგვის, მიწის წიაღის ფანტასტიკურ საიდუმლოებათა ამოხსნის, ჩვენი მრავალფეროვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების მეექვსე ხუთწლედის დასაწყისს.

დიადმა კომუნისტურმა პარტიამ კომუნიზმის მშენებელი ადამიანები შეაჭვია ჯანსაღი ფანტაზიისათვის ხორცშესხმას, ოცნებათა სინამდვილედ გადაქცევას. და აი ახლაც, ახალწლის წინა საღამოს, ჩვენი ადამიანები შრომითს ფრონტზე დიდი შეტევისათვის ემზადებიან.

— აღვკვეთოთ შეუფარდებლობა, რომელიც რესპუბლიკის ელექტროენერგიის მოთხოვნილებასა და გამომუშავებას შორის არსებობს! — ასეთია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალება. მის შესასრულებლად იბრძვის ათასობით ჩვენი სახელოვანი ჰიდროენერგოშენებელი. 1956 წელს ისინი ცხენისწყალს რიონის ხეობაში გადმოუშვებენ, აამუშავებენ მთელ რიგ ახალ ჰიდროელექტროსადგურებს, სწრაფად განავითარებენ მეორე ხრამჰესის, ლაჯანურჰესის მშენებლობას, შეუდგებიან ახალი დიდი ჰიდროელექტროსადგურების ასაგებად მზადებას.

მდინარეთა პოტენციური ძალის სიუხვით საქართველოს ტოლი ქვეყანა იშვიათია, მაგრამ ჯერჯერობით ამ უზარმაზარი ენერგეტიკული შესაძლებლობის მხოლოდ მცირე ნაწილია გამოყენებული. მზარდი ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი უამრავ ენერგიას მოითხოვს.

პერსპექტიული გეგმებით მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია მრეწველობაში და ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში ავტომატიკის, შრომის შემამსუბუქებელი მექანიზმების ფართოდ დანერგვა.

ავტომატიკა ახლა ფართო გასაქანს პოულობს არა მარტო მანქანათმშენებლობაში და საფეიქრო საწარმოებში, არამედ სახალხო მეურნეობის მრავალ სხვა დარგშიც. დიდი მომავალი ისახება ტელემექანიკის გამოყენებაშიც. ჩქენში უკვე განხორციელებულია ტელედანადგარების საშუალებით მთელი რიგი ჰიდროელექტროსადგურების შორი მანძილიდან მართვა. ტელემექანიკის გამოყენება გააადვილებს მატარებელთა მოძრაობის დისპეტჩერიზაციას, დიდ დანადგართა მუშაობის შორი მანძილიდან ავტომატურად მართვას და ა. შ.

ყოველივე ამისათვის საჭიროა ეხვი ელექტროენერგია.

ჩვენში მოიპოვებიან დიდი პოტენციური ძალის მდინარეები. მათი სიმძლავრეების გამოსაყენებლად უკვე მკაფიოდ ისახება საქართველოს ახალი, მძლავრი ჰიდროცენტრალების კონტურები. ამ კონტურების შემოსახაზავად ჰიდროელექტროსადგურთა დაპროექტების ინსტიტუტის თბილისის განყოფილებაში მუშაობენ დამპროექტებელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები, რომელებსაც ინჟინრები თადეოზ გეგელია, ქრისტეფორე ანდღულაძე, მირიან ებრალიძე, პეტრე ლომაია, ჭრანტ მნაცაკანიანი, ირაკლი ამირეჯიბი და სხვები ხელმძღვანელობენ.

საქართველო მდიდარია წიაღისეული დოვლათით. ყოველივე ის, რაც საჭიროა ინდუსტრიის განვითარებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, ადამიანის ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის, ყოველივე ის, ურომლისოდაც სახალხო მეურნეობის წინსვლა შეფერხდებოდა, ყველა იშვიათი და არაიშვიათი წიაღისეული მოიპოვება ქართული მიწის გულში.

დაუდეგარმა გეოლოგებმა ბევრგან მიწას გული გადაუხსნეს და მისი აურაცხელი სიმდიდრე ახლა სახალხო მეურნეობის შემდგომ წინსვლას ხმარდება. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი, თვალუწვდენი ასპარეზია მათს წინაშე გადაშლილი. ჩვენი ახლო წინაპრების ოცნება ვერ მისწვდებოდა იმ სიმაღლეებს, რომლებიც უკვე დაიპყრეს სახელოვანმა საბჭოთა გეოლოგებმა, მაგრამ დასაპყრობია კიდევ მრავალი.

გეოლოგების განკარგულებაშია უახლესი და უზუსტესი ახალი ხელსაწყოები. მიწის წიაღში მადნის არსებობის ჰაერიდან სანიშნობელი ინსტრუმენტები, ვერტმფრინავები, სრულყოფილი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიები.

აღმოჩენილია ქვანახშირის, ტყვიათუთიის, სპილენძის, რკინის, მთელ რიგ კეთილშობილ ლითონთა სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები.

* * *

საქართველოს თბოტექნიკოსები მრავალ საჩუქარს უმზადებენ რესპუბლიკას მეექვსე ხუთწლედში. ერთი ასეთი საჩუქარი იქნება წყალტუბოს გაჯანსაღება ხელოვნური ჰავით, ყველა სანატორიუმის, სასტუმროს, საამბულატორიო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის უზრუნველყოფა ე. წ. კონდიციონირებული ჰაერით, ზამთრის თვეებში კომფორტულად თბილით და მშრალით, ზაფხულის თვეებში გრილით და აგრეთვე მშრალით. საამისოდ გათვალისწინებულია ადგილობრივი ბუნებრივად ცხელი წყლების თბოენერგიის გამოყენება, მათი გატარება სპეციალურ დანადგარებში და ჰაერსადენის ქსელით განაწილება შენობებში. სათანადო საცდელი დანადგარის მონტაჟი უკვე მთავრდება მეექვსე აბანოს შენობასთან და მისი ამუშავება დასკვნების გამოსატანად და მეთვალყურეობა უახლოეს დროში დაიწყება.

* * *

კიდევ მრავალი დიდი სამუშაო შესრულდება ჩვენს რესპუბლიკაში უახლოეს წლებში.

თბილისში ამუშავდება ციკლონური საცეცხლე დანადგარი, სადაც შეისწავლიან თბოელექტროსადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

აქვე ამუშავდება საქართველოში პირველი სატელევიზიო სადგური და დაიწყება სატელევიზიო პროგრამების გადაცემა.

დაიწყება ფოთის ნავსადგურის გაფართოება, რაც დიდი სიკეთე იქნება მთელი ამიერკავკასიისათვის;

შესრულდება დიდი მოცულობის სამუშაოები რკინიგზის სხვადასხვა უბნების გამტარუნარიანობის გასაადიდებლად;

დაიწყება დიდი საპარფიუმერიო ფაბრიკის აგება, ვინაიდან საქართველოში დიდძალი ადგილობრივი ნედლეული მოიპოვება უმაღლესი ხარისხის საპარფიუმერიო ნაწარმისათვის;

მრეწველობის ნარჩენთაგან ვისკოზური ბოჭკოს მისაღებად განზრახულია რუსთავში სპეციალური ქარხნის აგება მრავალი ათასი ტონა ვისკოზური ბოჭკოს გამოსაშვებად.

დასახულია დიდი მოცულობის სამუშაოები ბინათმშენებლობის გასაფართოებლად.

გაფართოვდება ნიშანდებული რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების ფარგლები მეტალურგიაში, მედიცინაში, მანქანათმშენებლობაში, ლითონდამუშავებაში და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში.

ყოველივე ეს მხოლოდ ნაწილია იმ დიდი სამუშაოებისა, რაც მეექვსე ხუთწლედით არის გათვალისწინებული.

...და, ამ სამუშაოთა შესრულების შედეგად. მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებთან ძმურად ხელიხელჩაკიდებული ქართველი ხალხი მუდამ წინ ივლის კომუნისტური პარტიის სიბრძნით გაშუქებული გზით, ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, ყოველ ახალ წელს,

მრავალ ახალ წელს!

დ. ლომთაძე.

* * *

სურათზე: თბილისი. რუსთაველის პროსპექტის ხედი ლენინის სახელობის მოედნიდან.

ტელეფონის ხაზზე

ისინი გუშინ შეხვდნენ...

თორმეტი ათას კილომეტრზე მეტი მანძილით დაშორებულია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი ვლადივოსტოკს. ადგილობრივი დროით, როცა თბილისში ნაშუადღევის 5 საათია, ზღვისპირეთის მხარეში დამის 12 საათია. გუშინ ხუთშაბათ ამ დროისათვის „კომუნისტის“ თანამშრომელი დაუკავშირდა სამხარეო გაზეთ „კრასნოე ზნამიას“ რედაქციას ვლადივოსტოკში, ტელეფონთან იყო რედაქტორის მოადგილე ამხ. გორეგოი.

თბილისი — თქვენთან ახლა ალბათ ახალი წელია?

ვლადივოსტოკი — რამდენიმე წუთიც, და... დადგება.

თბილისი — მაშ მოგვილოცავს ახალი წელი, ძვირფასო ამხანაგებო!

ვლადივოსტოკი — გმადლობთ, მხურვალე მილოცვა გადაეცით ჩვენს კოლეგებს „კომუნისტის“ რედაქციიდან.

თბილისი — გვაინტერესებს თუ როგორ შეხვდნენ ახალ წელს ჩვენი დიადი ქვეყნის ერთ-ერთი უშორესი პუნქტის — ვლადივოსტოკის მშრომელები. თუ არ შეწუხდებით, გვიამბეთ.

ვლადივოსტოკი — მე თქვენ გაგაცნობთ „კრასნოე ზნამიას“ პირველი იანვრის ნომერს, რომელიც ახლა მანქანაზე იბეჭდება და, ვფიქრობ, შესრულებული იქნება თქვენი მკითხველების სურვილი.

თბილისი — გთხოვ... ჩვენ ვფიქრობ, „ბრასნოე ზნამიას“ რედაქციას მოეთხოვა, თუ ჩინეთის საელჩოს რესპუბლიკის მშრომელებთან რა ურთიერთობები მოიპოვეს გასულ წელს, როგორია მათი გეგმები. წერილი დაბეჭდილია სათაურით „პეკინი — ვლადივოსტოკი“.

ვლადივოსტოკი — ... პირველ გვერდზე დაბეჭდილია საახალწლო ანკეტები, რომლებიც მოგვითხრობენ ზღვისპირეთის მხარის მოწინავე ადამიანთა შრომითს შედეგებზე და პერსპექტივებზე. კერძოდ, გამოქვეყნებულია პუციანის შახტის მნგრეველის რუმიანცევის წერილი. ამ მნგრეველმა შარშანდელი დავალება ორმაგად გაანაღდა და პირობას იძლევა, რომ 1956 წელს 15 ათას ტონა ქვანახშირს მოანგრევს. იქვე დაბეჭდილია კალინინის რაიონის კოლმეურნეობა „პუტ ლენინას“ ფერმის გამგის ფურმანის, ქარხანა „მეტალისტის“ ელექტროშემდუდებლის გრიანის, კიროვის სახელობის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის შვეცის და სხვების ანკეტები.

მეორე გვერდზე მოთავსებულია ქალაქის წამყვანი საწარმოს — ვოროშილოვის სახელობის გემთმშენებელი ქარხნის ნოვატორას ბონდარევის წერილი სპასკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელის ნეყენეცისადმი. ბონდარევი აცნობს მას გემთმშენებელთა მიღწევებს და სწერს: თქვენი მუშაობის შესახებაც შეგვატყობინეთო.

საახალწლო ნომრის მშვენებაა სტატია ჩინეთიდან. „ჩვენ ვფიქრობ, ამაზე, ალბათ, ინტერესებს ... გთხოვთ, თუ ჩინეთის საელჩოს რესპუბლიკის მშრომელებთან რა ურთიერთობები მოიპოვეს გასულ წელს, როგორია მათი გეგმები. წერილი დაბეჭდილია სათაურით „პეკინი — ვლადივოსტოკი“.

ვლადივოსტოკის ნავსადგურის მრავალი ხომალდი იმყოფება შორეულ ზღვაოსნობაში. ჩვენ რადიოთი დავუკავშირდით ტანკერ „სტალინისა“ და გემ „ჩუკოტკის“ ეკიპაჟებს, რომლებიც ეკვატორზე იმყოფებიან, აგრეთვე ხომალდ „ყირიმის“ პირად შემადგენლობას, რომელიც ვლადივოსტოკიდან შავ ზღვაში მიდის, და ახლა აფრიკის ნაპირებთან მიცურავს, — გადავეცით სალამი სამშობლოდან, მივულოცეთ ახალი წელი.

ქალაქი საახალწლოდ არის მორთული, ილიჩის ბუხტაში ჩამომდგარი ხომალდები საზეიმოდ გაჩირაღდნებულან. ამ წუთში საახალწლო შეხვედრები და მეგზლისბია გემთმშენებელთა, მეზღვაურთა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის კლუბებში, რკინიგზელის კულტურის სასახლეში.

ვლადივოსტოკში საუცხოო ამინდებია, ყინვა 5-6 გრადუსზე ზევით არ ადის.

თბილისი — დიდად გმადლობთ, თქვენი გაზეთის საახალწლო ნომრის შინაარსს ხვალ ქართველი მკითხველიც გაიგებს.

ბიხეილ სანიკიძე

ბედნიერების წელი ვარ

ამ საუკუნეს ვეშვილე,
მისი ოჯახის წევრი ვარ,
თუმცა
ზამთარში მოვედი,
ბედნიერების წელი ვარ!
არ მომყოლია სიცივე,
დაე
თვით მზემაც იცოდეს:
„ბაზოფხული ზის უბეში,
სახელად მქვია სიცოცხლე,
მშვიდობის მებაირახტრედ
წითელ დროშებზე ვწერივარ,
წყეული ომის მტერი ვარ,
ბედნიერების წელი ვარ!
ხალხთა ძმობისთვის ზღვებზედაც
ხიდად გადავდებ მარჯვენას
და მათთან ერთად ვიბრძოლებ
მშვიდობის გადასარჩენად.
დავიცავ მილიონების
გრძნობებს,
სათუთად ნატარებს,
რომ უშფოთველი ცხოვრება
ჰქონდეთ დიდებს და პატარებს.
თქვენს ოჯახებში დიადი
სიმღერით ჩამოვსახლდები,
ქუჩებს შეგიმკობთ მაღალი,
მხრეგანიერი სახლებით.
რომ თქვათ მადლიან სიტყვებით:
„ყოჩაღ შენ, წელო ახალო!“
ურწყავებს მოვრწყავ არხებით,
გულს გავულალებ მაღაროს.
მოვედი,
მომყვა ხალისი,
მომყვა ნანატრი ბარაქა,
მსურს ხვავი დავდგა ულევი
ყველგან
სოფელში,
ქალაქად...
მშრომელი კაცის მხარდამხარ
წინ, ვაჟკაცურად ვიარო
და ბედნიერი ცხოვრებით
საბჭოთა ადამიანო,
დაგატკბო,
შენი არსება ვადიდო,
ცამდე ავწიო,
ელნათურების შუქითა
ღამეც დღედ გადავაქციო...
დღეები შეკვრა სხივებით,
ვარდებად გადმოგაყაროთ,
დაზგებს გავუთქვა სახელი,
პურის ყანები ვახარო,
უთვალავ ცისარტყელების
ფერი მოგფინოთ მრავალი,
გზა უფრო გაგიბრწყინვალოთ
— კომუნიზმისკენ მავალი!

ახალი მწვერვალებისკენ

გრიგოლ აბაშიძე

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ძველი წლის დასასრული მწვერვალზე ასვლის დასასრულს ჰგავს: მაღალ მწვერვალზე ასული მთასელი აღსავსეა კიდევ ერთი მწვერვალის დაპყრობის სიხარულით, იგი დამსახურებული სიამაყით ავლებს თვალს ბრძოლით განვლილ შესანიშნავ გზას და იმედით შეჰყურებს წინ ალმართულ ახალ, უფრო მაღალ და მიმზიდველ მწვერვალს.

მას სჯერა, რომ იგი გმირული შემართებით დაიპყრობს ამ მზიურ მწვერვალსაც.

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ კომუნიზმის შუქით გასხივოსნებული მწვერვალებისკენ მათს სწრაფვას ვერ შეაჩერებს ვერავითარი დაბრკოლება, რომ კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლაში ამ ახალ მწვერვალზე ასვლაც — ახალი წელი ჩასწერს ახალ გამარჯვებათა ბრწყინვალე და განუეორებელ ფურცლებს.

დიდი სიხარული მოაქვს ყოველ ახალ წელს, მაგრამ ახალი წლის პირველი დღე კიდევ უფრო მეტი სიხარულის მომტანია ჩვენი დიდი სამშობლოს მოწინავე ადამიანებისათვის, რომლებმაც თავიანთი საწარმოო და შემოქმედებითი მიღწევებით კარგა ხნის წინათ მოიტოვეს უკან არა მარტო გუშინ დასრულებული 1955 წელი, არამედ 1960-65 წლებიც და რომლებმაც თავიანთი შრომითი ღვაწლით დღევანდელ დღედ აქციეს შორეული ხვალინდელიც.

ჩვენ ყოველდღიურად ახლის დამბადებისა და გამარჯვების მოწმენი და ონაწილენი ვართ. ამიტომ ჩვენი ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენად მიგვაჩნია გუშინდელ უდაბნოში წალკოტის გაშენება, უკაცურ ტრამალზე დიდი საწარმოო გიგანტის ამუშავება და ოდესღაც მიუვალ მთებში ახალი სამრეწველო ქალაქის გაჩენა.

სულ რაღაც რამდენიმე წლის წინათ რუსთავის ველზე არათუ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული უზარმაზარი კორპუსები არ ბოლავდნენ, მგზავრის თავშესაფარიც არსად ჩანდა, საქართველოს რუკაზე ტყვარჩელის მაღაროელთა ქალაქის ხსენებაც არ იყო, და მიუსაფარი ქარი ჰქროდა იქ, საიდანაც ახლა ავტომობილთა ქარავნები მოჰქრიან.

ჩვენი ყოველი ახალი დღე კომუნიზმის ნათელი შენობის ახალი აგურია, და არავის ისე არა სურს მშვიდობიანი ცხოვრების დაუსრულებლობა, როგორც საბჭოთა ხალხს.

გასულ წელს კიდევ უფრო მძლავრად გაშალეს ფრთები მშვიდობის მტრედებმა. მათ ოკეანიდან ოკეანემდე მილიონობით ადამიანს განუმტკიცეს საბჭოთა ქვეყნის უძლეველობის, კომუნიზმისა და მშვიდობის გამარჯვების რწმენა.

სწორედ გასული წლის ბოლოს განიხილა და დაამტკიცა საბჭოთა ხალხის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა ბედნიერი ცხოვრების მორიგი ბიუჯეტი — მშვიდობის ბიუჯეტი.

ქართველ ხალხს, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან ერთად, ურყევად სჯერა თავისი შემდგომი წინსვლა და წარმატება, თავისი მატერიალური უზრუნველყოფა და კულტურის შემდგომი აყვავება.

იგი სიამაყითა და სიხარულით შლის ახალი, 1956 წლის კალენდრის პირველ ფურცელს და მტკიცედ ეუბნება ძმობლიურ კომუნისტურ პარტიას:

— კვლავ შენი გზით, წინ — ახალი გამარჯვებებისაკენ!

ფოტორეპორტაჟი

რესპუბლიკის მშვენება



რუსთავი. მთავარი პროსპექტი.

* * *

ქართული ფოლადის კერა

რუსთავი — ქართული ფოლადის აკვანი, ხალხთა მეგობრობის პირმშო, რესპუბლიკის სიამაყე! — აი ეპითეტები, რომლითაც ახალგაზრდა ქალაქს პირველი დათვალიერებისთანავე ამკობს მნახველი.

ოდესღაც გაპარტახებულმა ნაქალაქარმა პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, საბჭოთა ხალხების ძმური დახმარებით საოცრად მოკლე დროში მიიღო დიდი ინდუსტრიული ქალაქის სახე. თვალს ხიბლავს ლარივით გაჭიმული ფართო ქუჩები, რომელთა რიცხვი უკვე 50-მდე აღწევს. გაზონებით, სკვერებით, ბრავალწლიანი მარადმწვანე მცენარეებით დამშვენებული ლამაზი საცხოვრებელი კვარტალები, მრავალსართულიანი სახლებით შემორკალული ცენტრალური მოედანი, კულტურისა და დასვენების პარკი, სტადიონი, კულტურის სასახლე, მეტალურგიული ქარხნის გიგანტური კორპუსები ცადატყორცნილი მილებით...

რუსთავის მკვიდრთა ტრადიციად იქცა ყოველი ახალი წლის დამდეგს შეაჯამონ განვლილი წლის შედეგები. ქალაქის მშენებლებმა მტკვრის მარცხენა ნაწილში ძირითადად ამოწურეს სამუშაო ფრონტი და მტკვარ-გაღმა 4 საცხოვრებელი კვარტალის მშენებლობა გააჩაღეს, სადაც ორსამსართულიანი 30-მდე სახლის აგება დასასრულს უახლოვდება. მარტო 1955 წელს მეტალურგიულ ქარხანას შეემატა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი ბრძმედი და საკოქსე ბატარეა, ააგლომერაციო ფაბრიკა, მავთულსაგლინავი დგანი და ფურცელსაგლინავი მძლავრი საამქრო, საექსპლოატაციოდ გადაეცა გადამმუშავებელი საამქროები აზოტოვანი სასუქების ქარხნისა, რომელიც ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკებს მინერალური სასუქით ამარაგებს. რუსთავი გახდა არა მარტო პირველ ქართველ მეტალურგთა, არამედ პირველ ქიმიკოსთა ქალაქიც.

ახალგაზრდა მეტალურგები, ქიმიკოსები და მშენებლები პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. 14 დეკემბრის შემდეგ მილსაგლინავი საამქროდან ეშელონებს ყოველდღიურად მიაქვთ 1956 წლის ანგარიშში გამოშვებული ლითონის მილები. სასახელოდ შრომობენ მეფოლადეები, მებრძმედეები, ენერგეტიკოსები...

მიილე, დედა-სამშობლოვ, რუსთავის მეტალურგებისაგან ათასობით ტონა ზეგეგმითი ფოლადი, თუჯი, ნაგლინი!

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქალაქი-გაღი

მძიმედ, ზვიადად ტორტმანობს შავი ზღვა. ყალყზე შემდგარი ფარუზისფერი ტალღები ზათქითა და ზრიალით ეხეთქებიან ნაპირებს.

მარადმწვანე ბაღნარების მუქ ფონზე თვალწარმტაცად გამოიყურება ქალაქ სოხუმის ფაქიზად ნაგები თეთრი შენობები, ძველი ციხის ბასტიონები, სტალინის მთა. ადამიანს თვალს სტაცებს თეთრად მოქთქთე სასტუმრო „აფხაზეთი“, სოხუმის ახალი სადგური, სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდებული შენობა. სწორი და ფართო ქუჩების გაყოლებით ცადატყორცნილი ევკალიპტები და ალვის ხეები, ბზისა და დაფნის ბუჩქები ჩამწკრივებულან.

ზღვაურით, ევკალიპტების შრიალითა და ელნათურების ჰირლანდების ციმციმით შემოდის ახალი წელი, დიდი შრომითი წარმატებებით, ზეიმითა და სიხარულით ხვდება მას ზღვისპირეთის ეს მომხიბვლელი ქალაქი — ბაღნარი.

ფერად-ფერადი ელნათურებით გაჩახჩახებული ნაძვისხეები კიაფობენ ლენინის სახელობის პარკში, მოედანზე, მთავრობის სახლის წინ, კინოთეატრ „სოხუმის“ გვერდით მდებარე პარკში, სოხუმის პიონერთა სახლში, ექიმების სახლში, სკოლებში, მშრომელთა ოჯახებში. უღრმესი მადლობის გრძნობით ისტუმრებენ ძველ, უკვე განვლილ სახელოვან წელს და მხიარული სიმღერებით ეგებებიან მომავალ, ახალი ბედნიერების მომტან 1956 წელს სოხუმელები.

სოხუმი. რუსთაველის პროსპექტი.

* * *



სტალინირი. საბჭოების სახლი.

* * *

სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობაზე კოშკურა საათმა თორმეტჯერ დარეკა. სოხუმელთა დოვლათიან, სტუმართმოყვარე სუფრებზე ჭიქები აწკარუნდა... მრავალი ახალი წარმატება, მრავალი ახალი გამარჯვება მოგეტანოს, ახალო წელო!

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გედნიერი, გულუხვი...

ორიოდე ვიწრო, ატალახებული ქუჩა, ქუჩის პირას დამრეცილი, ცალთვალა დუქნები, ქოხმახები, მინგრეულ-მონგრეული მესრები, ღამით ჩაბნელებული, ჩაშავებული სარკმლები, აქა-იქ მბჟუტავი ჭრაქებით...

ძველი ცხინვალი...

არ შეიძლება სტალინირში ჩასული ძველათ აქ ნამყოფი კაცის მეხსიერებაში ორიოდე წუთით მაინც არ გაიღვიძოს ამ სევდის მომგვრელმა, უფერულმა სურათმა, მაგრამ მხოლოდ ორიოდე წუთით... და ეს მოგონება მყისვე ქრება დღევანდელი სტალინირის ისარივით გატყორცნილი პროსპექტების, ლამაზად ნაგები შენობებისა და ბაღნარების თვალწარმტაც ფონზე.

ჯერ კიდევ შორიდან, 7-8 კილომეტრის მანძილიდან ხედავს მგზავრი დიდი ლენინის სახელობის ქუჩაზე აღმართული საბჭოების სახლს. ქალაქის ცენტრში — სტალინის მოედანზე — მხარდამხარ ამართულან კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და სახტუმრო „სტალინირის“ მშვენიერი შენობები. მათ გვერდით მოედნის ერთ-ერთ კუთხეში სადაც არის დამთავრდება ოცდაოთხბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მოედნიდან ყოველმხრივ მიემართება გაზონებსა და სკვერებში ჩაფლული მოასფალტებული ქუჩები. ახლა ყველაფერი ეს თოვლს დაუფარავს და მარადმწვანე ხეივნებში გაწოლილი ქალაქი მომხიბვლელად გამოიყურება.

ელექტრონათურებით გაჩიროაღდნებულ ქუჩებში კლუბებიდან და სახლებიდან მხიარული სიცილი და სიმღერები იერება. გამვლელი ხედავს სარკმელებზე მომდგარ ნაძვის ხის ჩრდილს, მოზეიმე ადამიანების სილუეტებს და გული სიამით ევსება....

ბედნიერი, იმედიანი, გულუხვი ხვდება ახალ წელს სტალინირი.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მეგობრები



ქუთაისში არის შეგჩენკოს ქუჩა. ქუთაისელებს, ისევე როგორც მთელ ქართველ ხალხს, უყვართ უკრაინის სიამაყე — დიდი კობზარი, დიდი ტარასი. ამიტომ დარქვეს აქ ერთ-ერთ უდიდეს ქუჩას მისი სახელი. ამ ქუჩაზე ცხოვრობენ ქართველებიც და უკრაინელებიც, რუსებიც და სომხებიც, ცხოვრობენ მუშები და ოსტატები, მასწავლებლები და მუსიკოსები, ინჟინრები და პოეტები— მრავალი ეროვნებისა და მრავალი პროფესიის ადამიანები. ამ ქუჩას აღმოსავლეთით ამთავრებს ერთი მოზრდილი მუშათა ქალაქი, დიახ, ქალაქი ჭაობიდან, „ჩაქცეულად“ წოდებული ჭაობიდან აღმართული ქალაქი მანქანათმშენებლებისა. ამ ქალაქს ზღვად თუ ეგულებით — ცხოვრების, სოციალისტის დუღილის, შრომის ბათოსის ზღვად, მაშინ შეგჩენკოს ქუჩა დიდი მდინარე იქნება, მას რომ ერთვის. უნდა ნახოთ დილას ეს „ადიდებული მდინარე!“ — მიდის ადამიანთა უწყვეტი ნაკადი, მიჰქრის ათასგვარი მანქანების კოლონები... იწყება ახალი, მორიგი შრომითი დღე მანქანათმშენებლებისა, ჩვენი მრეწველობის ბურის — ქვანახშირის მომპოვებელი მანქანა-მოწყობილობის მშენებლებისა. მათი შრომის ნაყოფს გაფაცაცებით ელოდებიან დონბასელები, იღებენ ყარაგანდელები, „ბოსკოვეგოლელები“, ტულის მეშახტეები, კუზბასის მაღაროელები. ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის მარკა ცნობილია სახალიწშიც, ცნობილია უფრო შორსაც — ჩვენი სამშობლოს ფარგლებს იქითაც — სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

სიხარულით უთენდებათ მანქანათმშენებლებს ახალი, 1956 წელი — კომუნიზმთან კიდევ ერთი დიდი ნაბიჯით მიახლოების წელი.

...აუღელვებლად არ შეიძლებოდა მოესმინა კაცს ქარხნის ვრაცელ და ნათელ კლუბში ამას წინათ ჩატარებული მეგობრობის საღამოზე წარმოთქმული სიტყვები, ამაღელვებელი იყო მთელი დარბაზის რაღაც საზეიმო, ძმური, მეგობრული განწყობილება. ქარხნის მოწინავე ადამიანები გელენიძე და ფილიპსკაია, არხანიანი და ჰუსეინოვი, ბონდარენკო და ლისტოპადი, უმეროვი და ჯაკუხაძე, შვანგირაძე და ნაცვლიშვილი, — ყველა ესენი ზოგი სიტყვით, ზოგიც ლექსით ადიდებდნენ დიდი ოქტომბრის ყველაზე სანუკვარ მონაპოვარს, ლენინსა და სტალინის მიერ საფუძველჩაყრილს, პარტიის მიერ გამოზრდილსა და გამოწრთობილს — ხალხთა მეგობრობას — ერთ-ერთ უძლიერეს ძალას საბჭოთა წყობილებასა.

მრავალი ახალი, ახალგაზრდა ოჯახი ითვლება სიხარულით ახალ წელს, ახალ ბედნიერ წელს. ელეუჯა ლიპარტიანმა — მუშა მშობლების შვილმა, თვითონაც მოწინავე მუშამ აქვე, ქარხანაშივე შექმნა ახალი ოჯახი. მან გულისსწორი ჰპოვა უკრაინელ მაია სვერდლიჩენკოში.

...ელექტროტორების საამქროში ვაქაცურად მომუშავე ელეუჯა უნდა ნახოთ თავისუფალ დროს, დასვენების დროს, კლუბის სცენაზე ქართული ცეკვის ცეცხლს რომ ანთებს. მასთან ნახავთ მაიასაც, ისე საუცხოოდ რომ დაუფლებია როგორც ქართულ ნარნარ, ისე მომბიბვლელ უკრაინულსა და რუსულ ცეკვებს.

ახალ წელს ბედნიერად ითვლებს მოწინავე კომკავშირელი მღარავის, ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატის ნინა გადეცკაიას ახალშექმნილი ოჯახი.

რთული, მრავალი სიძნელით აღსავსე გზა გაწელო ფრიდა პოლიაკმა დღევანდელ ბედნიერებამდე. ოცდაშვიდი წლის ფრიდას ცხოვრების გზა იმის მაჩვენებელია, თუ როგორ შეუძლია საბჭოთა ადამიანს დაძლიოს სიძნელეები, გადალახოს დაბრკოლებები:

...ომის საშინელი დღეები. მშობლიური ოდესა — ფაშისტთა მიერ დაბომბილი და ჭრილობამიყენებული ეს უმშვენიერესი ქალაქი. პიონერის ყელსახვევიანი ფრიდას გახიზნვა ტყეში. მამის უგზოუკვლოდ დაკარგვა ყუმბარების ორომტრიალში. სუსტი დედის უმწეობა. თავის დაღწევა ტყიდან. ევაკუაცია მოძმე უზბეკეთში. პირველი ნაბიჯები „დიდ მიწაზე“, ყუმბარებით გადაუთხრელ და მტრის საჰაერო თავდასხმებით გაუჩანაგებელ მიწაწყალზე. პირველი თავისუფალი ამოსუნთქვა პატარა ფრიდასი ომის რამდენიმე წლის შემდეგ, დამოუკიდებელი, დაუზარელი, ხალისიანი შრომა უზბეკეთის ერთ-ერთ დიდ საბჭოთა მეურნეობაში. იქვე კომკავშირის რიგებში შესვლა და ნაცრისფერი საამაყო ბილეთის მიღებით გამოწვეული სიხარული. შრომასთან ერთად სწავლის განგრძობა, ძნელად, დიდი ენერგიის დახარჯვით, მაგრამ შეუპოვრობით საშუალო სკოლის დამთავრება. დაუვიწყარი სიხარული — მამის ჩამოსვლა, დაკარგული მამისა. ცხოვრების ხელახლა დაწყება. შემდეგ... შემდეგ ქუთაისი — ახლა მისთვის მშობლიური ქუთაისი. მანქანათმშენებელი ქარხანა. ტექნიკური სწავლება. ლენინგრადისა და მოსკოვის სპეციალური კურსები. ელექტროტექნიკოსის კვალიფიკაციის მიღება... ახალი მშვენიერი ბინები. მამა ბორის პოლიაკი — საუკეთესო სპეციალისტი ეკონომისტი, მის გვერდით მრავალჭირნახული, მაგრამ ჯერ კიდევ მხნე და ყოჩაღი დედა მარია — ბედნიერი, ომის საშინელებაგამოვლილი დედა უკვე თავის შვილიშვილებთან — ალასთან და ანასთან... დილას მარია მშობლიური სიყვარულით აცილებს თავისი ცხოვრების თანამგზავრს — ბორისს, მის ერთადერთ პირმშოს, ყოჩაღ ქალიშვილს ფრიდას, შეუპოვარი შრომით და სიძნელეების გადალახვით ბედნიერებას რომ მიაღწია, და... სიძეს, ფრიდას ცხოვრების თანამგზავრს ტექნიკოს სოლომონ ვლადიმერის-ძე ტერეს. ყველა ისინი გვიან საღამოს გროდენინ შინ. სიხარული, კმაყოფილება, ბედნიერება სუფევს ოჯახში. მიღწეულით არ კმაყოფილდება ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. კვლავ სწავლა საჭირო, და ფრიდა და სოლომონი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მესამე კურსზე ებარებენ ახლა გამოცდებს.

ბედნიერების წყარო შრომაა. სერგო გელენიძის ცხოვრების ბილეთ მეტყველებს ამაზე. მოწყალედ დაიწყო მუშაობა პატარა სერგომ მანქანათმშენებელ ქარხანაში. მალე მან თანრიგი მიიღო და რამდენიმე წლის შეუპოვარი შრომით მთელი ქარხნის მოწინავე მჭედლის სახელი გაითქვა. ქარხნის კოლექტივმა იგი დეპუტატად წარგზავნა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში. მუშა — სახელმწიფო მოღვაწე, ხალხის რჩეული!

რუსი ალექსანდრე პრივალოვი იმავე საქმეს ემსახურება, რასაც ქართველი ვლადიმერ მარგველაშვილი — კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. ამით არის მათი ძმობა განპირობებული. არაფერი ისე არ აძმობილებს ადამიანებს, როგორც ერთადაიგივე მიზანი. ექსკავატორის ამწყობის, ბრიგადირ პრივალოვის შრომითი წარმატება, მისი მრავალი რაციონალიზატორული წინადადება კომუნიზმის საქმეს ემსახურება. ამწყობი-ზეინკალი, ვლადიმერ მარგველაშვილი დღეში ოთხი ნორმის გამომუშავებით ხელს უწყობს სამშობლოს ძლიერებას.

პატრიოტიზმის ნათელი სხივით არის გაშუქებული შალვა ჩხიკვაშვილის გზა — სწავლის, ბრძოლისა და შრომის გზა. უმძიმესი ისტორიული განათლების მიღება. სახალხო განათლების ორგანოებში მუშაობა. შემდეგ ომი. შალვას მძიმე საბრძოლო ცხოვრება დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, დაბრუნება... პატრიოტი ახალგაზრდა ხდება მანქანათმშენებელი ქარხნის სახელოვანი კოლექტივის წევრი. შრომას მოწყურებული, ომგადახდილი ვაჟკაცი ეუფლება ახალ პროფესიას. დღეს უკვე ხარატი შალვა ჩხიკვაშვილი ქარხნის კოლექტივში ცნობილი მუშაა და დღეში ერთნახევარი-ორი ნორმის შესრულებით ნაბიჯს უსწორებს ნოვატორებს. ესეც ხომ ხელს უწყობს სამშობლოს ძლიერებას.

სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე მაღალი მოვალეობის შეგნება ალმფულებს აქ ვაქაცებს, აძლევს ქარხნის კოლექტივს, მის ადამიანებს ძალას, შეუპოვარს ხდის მათს სწრაფვას წინ. ამ შეგნებით, ამ რწმენით შეასრულა ქარხანამ საერთო პროდუქციის გაძლიერების ხუთწლიანი გეგმა ჯერ კიდევ გასულ 6 ნოემბერს.

ადამიანები შრომაში ჰპოვებენ ბედნიერებას.

ამ ბედნიერებით ითვლებენ ახალ წელს ქუთაისელი მანქანათმშენებლები.

ვ. თოლდუა,
გ. მეფისაშვილი.

• • •

სურათზე: ქუთაისის ლენინის სახელობის პროსპექტი.

იოსებ ნონეშვილი

ახალი წელი ჰრაღაში

ახალ წელს სხვაგან წასვლა ცუდია, —
უთქვამს ძველთაგან ქართულ ადათწესს.
სჯობს დაგეკვეთოს სახლში მუდმივად
შენიანებთან შეხვდე ახალ წელს.

ყოველ ახალწელს მეც ამ თქმულებით
ჩემიანებთან ვიყავ ამდენ ხანს
და როგორ გითხრათ, ვითომც სრულებით
არ მაფიქრებდა წესის გატეხა.

მაგრამ დღეს, როცა გადამეხვეთ,
ვიგრძენი ძმური თქვენი ალერსი,
ვხედავ წესი არ გამიტეხია,
ახალ წელს ვხვდები ჩემიანებში.

მე მეგობრობის მეკვლედ მოვედი,
თქვენ დამხვდით ნამდვილ სახლიკაცებად.
დე დამეკვეთოს, ძმებო, ყოველთვის
ეს სიხარული, ეს ალტაცება.

ერთი გვქონია გულისნადები,
გვანთებს, გვამხნევებს ერთი მიზანიც.
ეს თქვენი მთებიც — თეთრი ტატრები
კავკასიონის ძმებად ვიცანი.

თქვენი სიმღერაც რომ მეყურება,
მგონია ვუსმენ ქართულ მოძახილს.
...როგორ იცვლება ძველი თქმულება,
როგორ გაზრდილა ჩვენი ოჯახი.

სახლებს აცვიათ ჭრელი ხალათი,
მდინარე ვლტავს გაავქს ზანზარი,
ათასფრად ბრწყინავს მთელი ქალაქი,
როგორც ნაძვის ხე უზარმაზარი.

ყველა ფანჯარა ერთად იღება,
სიხარულია მართლაც უზვავი.
„მარად მოსკოვთან“... ხალხის სიმღერას
იმეორებენ ჰრაღის ქუჩები.

ისმის ჩეხური ბროლის წკრიალი,
სლოვაკურ თასებს გაავქთ ჯახუნი
და სლოვენიცა ნაპერწკლიანი
კამკამებს, როგორც ღვინო კახური.

როგორც ეს ღვინო, ფერით ბადახში,
ძმებო, ცეცხლივით გულიც გკონიათ.
ახალ წელიწადს ვხვდები ჰრაღაში
და ჩემს თბილისში თავი მგონია.

ალბათ ოჯახებს ავსებს თბილისშიც
ტკბილი სიმღერა, ცეკვა, სიცილი
და რუსთაველზე ნაძვებს — მე ვიცი,
ჩირაღდნებივით გაავქთ ციმციმი.

— მარად უღრუბლო იყოს ჩვენი ცა,
მიწა აიფაროს დოვლათ-ბარაქით! —
ასე შეჰხარის ახალ წელიწადს
მოსკოვი,

ჰრაღა,

თბილისი-ქალაქი.

...განა ვუმტყუვნე ხალხურ თქმულებას,
განა მოვიდი უცხო მხარეში?...
აქ უცხო არვინ არ მეგულება,
ვარ თქვენთან — ძმებთან, ჩემიანებში.

ჰრაღა.

47.000 მანეთი მოწინავე შახტის კოლექტივს

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტში მიღებულია ცნობა, რომ ამ ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივს ნოემბერში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის მეშახტეთა საკავშირო შეჯიბრებაში მიეკუთვნა პირველი ადგილი და ფულადი პრემია 47.000 მანეთის რაოდენობით.

ცნობის მიღებამ შახტის კოლექტივში საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. მეშახტეებმა გადაწყვიტეს ახალი წარმატებები მოიპოვონ პარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის, უზრუნველყონ შემდგომ თვეებში გადიდებული საწარმოო დავალებების გადაჭარბებით შესრულება.

ტელეფონის ხაზზე

საზამთრო საძოვრებიდან

მშობლიური სოფლებიდან დაშორებით, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ყიზლარის საძოვრებზე — ბაჯიგანსა და პაწრისში, ყარანოლაის ველზე და ბირუზიაში ხვდებიან ქართველი მწყემსები ახალ წელს. საქართველოს 86 კოლმეურნეობის 232 ათასზე მეტი ცხვარი ზამთრობს ამ საძოვრებზე.

ახალწლის წინადღეს „კომუნისტის“ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრების სამართველოს უფროსის მოადგილეს ჩორნი რინოკში. მთავარ ზოოტექნიკოსს ამხ. რამან სკანგელს. ვბეჭდავთ საუბრის ჩანაწერს:

რედაქცია — როგორ ეგებებით ახალ წელს?

სკანგელი — სახე იცვალა საძოვრებმა, ყველგან მოჩანს მწყემსთა კულტურულად მოწყობილი საცხოვრებელი სახლები. წელს რამდენიმე არტეზიული ჭა ამოვიღეთ. მიმდინარე სეზონში პრაქტიკულად ყველა პირობა გვაქვს შექმნილი პირუტყვის კარგად გამოზამთრებისა და დოლის წარმატებით ჩატარებისათვის, ნამატის შენარჩუნებისა და გაზრდისათვის. გეგმის გადამეტებით საძოვრებზე დამზადებული და ბინებზე მიტანილია 21 ათასზე მეტი ცენტნერი თივა. თვითეული ცხვარი ჯარბად არის უზრუნველყოფილი თივით.

რედაქცია — როგორ იზეიმებენ ახალ წელს მწყემსები?

სკანგელი — მეცხვარეობის ფერმებში ჩამოვიდნენ რაიონების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და მოადგილეები, რომლებიც ახალწელს მწყემსებთან გაატარებენ. მათ ჩამოიტანეს მოლოცვის წერილები ოჯახის წევრებისაგან, საჩუქრები, პროდუქტები, ხასმელი. ცხვარი კიდევ აქა გვყავს, სხვა რაღა გვინდა. გუშინ აქ იყო ყაზბეგის პარტრაიკომის მდივანი ამხ. შადური. მან ბევრი სასიხარულო ამბავი ჩამოიტანა. შემოიარა ფერმები და ბრიგადები. ზოგს შვილის შეძენა მიულოცა, ზოგს დის გათხოვება თუ ძმის დაკორწინება. ზოგს კი შინდან ჩამოტანილი მოკითხვის ბარათები გადასცა.

ჩამოსული არიან და თვითონ მწყემსებთან იდღესასწაულებენ ახალწელს ლენინგორის რაიასბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კ. ჯიოევი, ყაზბეგის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფ. თამაზანოვი, დუშეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე მ. მელიქიშვილი და სხვები. ჩამოვიდნენ ახმეტისა და თიანეთის რაიონებიდანაც. გარდა ბარათებისა და სურსათ-სანოვაგისა, მათ წიგნები და გაზეთები ჩამოიტანეს.

საახალწლო გართობაზე ჩვენი კინომექანიკოსი შაქრო ბუდაღოვი მოგახსენებთ, კულტურის სახლის დირექტორი აქ არ გახლავთ, კინომექანიკი [illegible] ბუდაღოვი — ამ დღეებში ახალი მოძრავი კინოდანადგარი და ავტომანქანა მივიღეთ, გუშინ დუშეთის რაიონის სტალინის სახელობისა და მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობათა მწყემსებს „აკტრუსკი“ ვაჩვენეთ, დღეს დმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეები ნახავენ მას, კულტურის სახლში საღამოს „ახალგაზრდა გვარდიას“ აჩვენებენ.

სკანგელი — ამაღამ მწყემსები თავს მოიყრიან წითელ კუთხეებში, ჩართვენ რადიოს, მოიმენენ მოსკოვიდან მოლოცვას, მერე კი ლხინს გააჩაღებენ.

რედაქცია — გადაეცით ჩვენი საახალწლო მილოცვა მწყემსებს, ბრიგადირებს, ფერმების გამგეებს, ზოოტექნიკოსებს, ვეტექიმებს — ყველა მოზამთრეს.

სკანგელი — გმადლობთ.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

მეთვრამეტე წელია ეჯიბრებიან ერთმანეთს სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის მეიქიანის სახელობისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობები. ამ წლების მანძილზე შესანიშნავი წარმატებები გვაქვს მოპოვებული სახოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში. ამჟამად ჩვენი კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციების ფართობი 382 ჰექტარს შეადგენს. 1939 წელს კი 194 ჰექტარი იყო. ამავე პერიოდში ერთიორად გაფართოეთ ციტრუსების პლანტაციები, რომლებსაც ახლა 362 ჰექტარი ფართობი უჭირავს. თუ 1938 წელს საშუალოდ ერთ ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მივიღეთ 1.941 კილოგრამი მწვანე ფოთოლი, 1955 წელს ჰექტარზე მოვიყვანეთ 5.000 კილოგრამზე მეტი ნედლეული. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შარმანწინ თერთმეტი მილიონ ორასი ათასი მანეთი შეადგინა, იგი ექვსჯერ სჭარბობდა 1938 წლის შემოსავალს.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა კოლმეურნეთა შემოსავალი, მაღლდებოდა სოფლის კულტურა. უკანასკნელ წლებში სოფლად ამენდა ბევრი საზოგადოებრივი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობა, 430 კოლმეურნემ აიშენა საცხოვრებელი სახლი. კოლმეურნეთა ბინებსა და მეცხოველეობის ფერმებს ილიჩის ნათურები ანათებს. კოლმეურნეთა ბავშვებისათვის გახსნილია ერთი საშუალო, ორი რვაწლიანი და ერთი დაწყებითი სკოლა. სოფელშია კინო, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკები, საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, აფთიაქები, ბუნოები, ათი საბავშვო ბაგა.

უკანასკნელად დიდი ყურადღება მივაქციეთ მეცხოველეობის განვითარებას. ფერმაში სამუშაოდ დამატებით გავგზავნეთ საქმის მცოდნე კოლმეურნეები. გავაძლიერეთ საკვებმოპოვების ბრიგადა. ავითვისეთ ახალი ნაკვეთები სიმინდის დასათესად და მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. გავაუმჯობესეთ ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა. გაწეულმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. გასული სამეურნეო წლის წველადობის გეგმა წარმატებით გავასრულეთ, 1954 წელთან შედარებით ერთი საფურაქე ძროხის წველადობა 348 კილოგრამით გავზარდეთ. გასულ წელს სახელმწიფოს ჩავაბარეთ 66 ათასი კილოგრამი რძე, 27 ტონა ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

ჩვენი კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითადი წყაროა ჩაის კულტურა. კოლმეურნეებმა შეიყვარეს ეს დარგი და მზრუნველობით უვლიან ჩაის თვითეულ ბუჩქს. პლანტაციების კარგი დამუშავებით და მოწინავეთა გამოცდილების ფართო დანერგვით ვადამდე უზრუნველვყავით ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება. მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 1.840 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 1954 წელთან შედარებით 212 ტონით მეტი.

ჩვენი კოლმეურნეობის დელეგაცია წარმან ეწვია სომეხ მეგობრებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესამოწმებლად. ჰოქტემბერიანის რკინიგზის სადგურზე და თვით სოფელში ძმური შეხვედრა მოგვიწყეს. კოლმეურნეობის კანტორის წინ გამოკრული იყო ლოზუნგი ქართულ ენაზე: „ძმური სალამი ქართველ მეგობრებს“. ჩვენი ყურადღება მიიპყრო კოლმეურნეობის ადმინისტრაციულმა სახლმა — ახალმა ორსართულიანმა კაპიტალურმა შენობამ, რომელიც არქიტექტურულად მიმზიდველად არის გაფორმებული. აქვეა 450-ადგილიანი კლუბი, საბავშვო, აქვთ საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, საშუალო სკოლა, აფთიაქი, მაღაზია და სხვ.

დავათვალიერეთ ბამბის პლანტაციები, ვენახი, მეცხოველეობის ფერმა, ბოსტანი. გზადაგზა მიმდინარე წლის შედეგებს გვაცნობდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ჰ. დავთიანი, ბრიგადირები ა. გაბრიელიანი, მ. მანუკიანი, კოლმეურნეები შურა ბალდასარიანი, გეგუშ ავეტისიანი და სხვები.

ვენახის შესასვლელთან შეგვხვდა 85 წლის კოლმეურნე კ. აბაზიანი. მან კოლმეურნეთა სახელით საჩუქრად გადმოგვცა სანიმუშოდ მოვლილი ერთი ჰექტარი ვენახი. — ეს თქვენ მიერ ნაჩუქარი 0,5 ჰექტარი ციტრუსების პლანტაციის ნაცვლად არის, — ამბობს მოხუცი და მიგვითითებს წარწერისაკენ — „მეგობრობის ვენახი, ნატანებელთა ნაკვეთი“.

ჩვენმა კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 1956 წელს მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბაროს 1.800.000 კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული, საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 5.900 კილოგრამი ჩაი, 26 ცენტნერი სიმინდი, სახელმწიფოს ჩაბაროს 12.900 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, 35 ტონა ხორცი, 100.000 კილოგრამი რძე, 400 ტონა ტუნგო, 15 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი გაზარდოს 15 მილიონ მანეთამდე. ახალი ლონისძიებებია დასახული სახოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში.

ნატანებელ და ნალბანდიანელ კოლმეურნეთა შეჯიბრება ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციაა.

ნატანებელი კოლმეურნეები მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად ახალი წარმატებებით ხვდებიან ახალ, 1956 წელს.

ნატანებელ კოლმეურნეთა გადაწყვეტილებაა უფრო ფართოდ გაიაღონ სოციალისტური შეჯიბრება და სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

გ. წითლიძე,
მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საახალწლო საღამო ჭიმონინოელებისაგან

გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი კოლმეურნეობის წარმომადგენლები ტყუმრად იყვნენ თქვენთან, გაიცნენ იმ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს, რომლებიც ჩვენმა კოლმეურნეობებმა იკისრეს ერთმანეთს შორის შეჯიბრების ნელშეკრულების დადების დროს.

ახლა ჩვენ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გიგზავნით ჩვენს საახალწლო მოლოცვას და საუკეთესო სურვილებს თქვენს ცხოვრებასა და შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ. სულით და გულით ვუსურვებთ კოლმეურნეობას თვითეულ წევრს, რომლებთანაც ჩვენ ძმური მეგობრობა გვაკავშირებს, ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და ახალ წარმატებებს ახალი წლისათვის. დე! 1956 წელი იყოს საუკეთესო შრომითი გამარჯვებების, ახალი საგმირო საქმეების წელი.

ერთხელ კიდევ გილოცავთ რა ახალ წელს, გისურვებთ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას შეხვედროდეთ დირსეული საწარმოო საჩუქრებით.

მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. პუზანჩიკოვი, კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე ვ. ლამზიჩკინი, ზოოტექნიკოსი ვ. კირეევა, № 2 ბრიგადის ბრიგადირი ვ. ბლოხინი, მერგოლურგი კ. ბოროხოვა, კ. პილნოვა, კოლმეურნეები ნ. კარტაშევა, ბ. დეკანინი.

რესპუბლიკის მშვენება

ქართლის გული

დიდებულად, ზვიადად გადმოსცქერის ქართლის ძველისძველ ქალაქს გორის ციხის საუკუნოვანი კედლები. წარსულის დიდებით მოსილ მის ქონგურებს ახლა უკვდავი შარავანდედივით ჰფენს ნათელს ელექტრონათურებით აციმციმებული წარწერა: „სამარადისო დიდება დიდ სტალინს!“

კოხტა და ლამაზია დიდი ბელადის სამშობლო ქალაქი. სახელმწიფო დრამატული თეატრი, ინსტიტუტები, სკოლები, ფაბრიკები, ქარხნები და კიდევ ბევრი რამ აშენდა აქ უკანასკნელ წლებში.

აგერ ლიახვის გაღმა ახლადაგებული საფეიქრო კომბინატის ვეებერთელა კორპუსები, საცხოვრებელი სახლები, კოტეჯები. ფეიქართა დაბაში მარტო 1955 წელს 2.074 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი აშენდა. დაბის კოპწია ქუჩებს კი მშვიდობის, ფეიქართა, ლომონოსოვის, გრიბოედოვის, ბესიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის სახელები ეწოდა.

მაგრამ მარტო ფეიქართა დაბამ როდი იცვალა ახე სახე. თვით ქალაქშიც წელს სამოცდათვრამეტმა მოსახლემ აიშენა საცხოვრებელი სახლი. მოასფალტებულ იქნა 20.777 კვადრატული მეტრი ქუჩები. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ქალაქის ადმინისტრაციული სახლი, ი. ბ. სტალინის მუზეუმის შენობა, გაიხსნება მრავალოთახიანი, კეთილმოწყობილი სასტუმრო „ინტურისტი“.

1955 წლის აპრილში სტალინის სამშობლო ქალაქში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის შემქმნელის დიდი ლენინის ძეგლს.



გორი. ადმინისტრაციული სახლი.

• • •

ლამაზი და მომხიბვლელია ახალწლის წინაღამეს გორი. ხალხი გამოფენილა ლამპიონებით გაჩირაღდნებულ ქუჩებში. ბაგეებს ღიმილი დასთამაშებს, თვალებში რწმენისა და ბედნიერების ნაპერწკლები ციალებს. ზეიმობს ქართლის გული.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქალაქი ზღვის პირას

ბათუმი — საბჭოთა აჭარის დედაქალაქი. შავი ზღვის პირის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი.

ბათუმისა და მთელი აჭარის მშრომელები ამაყობენ იმით, რომ აქ ნახევარი საუკუნის წინათ, რევოლუციის გარიჟრაჟზე ცხოვრობდა და მგზნებარე რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა გენიალური ლენინის მოწაფე და მისი საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი. ქალაქში დაცულია ბევრი ისტორიული ადგილი, რომლებიც დაკავშირებულია სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდთან. აქ არის რევოლუციის მუზეუმი, სადაც თავმოყრილია სახელოვანი კომუნისტური პარტიის გმირული ბრძოლებისა და გამარჯვებების ამსახველი მდიდარი მასალები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გალამაზდა და გამშვენიერდა ქალაქი ბათუმი. ფართო მოასფალტებული ქუჩები და მოედნები შემკობილია სუბტროპიკული მცენარეებითა და ყვავილნარებით. ქალაქი ზამთარ-ზაფხულ ჰყვავის. ქალაქისა და მთელი საბჭოთა შავიზღვისპირეთის სიამაყეა ბათუმის ბულვარი, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა პარკი. თვალს იტაცებს რეკონსტრუირებული რევოლუციის მოედანი დიდი ლენინის მონუმენტური ძეგლით.

ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრია. როგორც შიგ ქალაქში, ისე მის გარეუბნებში აღმართულია საწარმოთა უზარმაზარი კორპუსები.

ქალაქი დამშვენებულია ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლით, თეატრებითა და კულტურის სახლებით, კინოთეატრებითა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით. მარტო გასულ წელს ქალაქის კეთილმოწყობაზე დახარჯა 6 მილიონ მანეთზე მეტი.

მრავალი ოჯახი ბედნიერ 1956 წელს ახალ კეთილმოწყობილ ბინაში ითენებს. მათ შორის არიან მშენებელი დურგლის ნ. მანჯავიძის, მუშა პ. ლეჩხაის, ტექნიკოს შ. შანიძის, მებეტონე ანა ლოკტიევას, ზეინკლების შ. გოგუაძისა და ვ. სმირნოვის, ელექტრომონტიორ ნ. ზიგორევიჩის, ხარატ ა. კარაპეტიანის, დიდი სამამულო ომის ინვალიდის ოსტატ ვ. ანიშკინისა და სხვ. ოჯახები.

ბათუმი საამაყო საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება ახალ წელს. ქალაქის მრეწველობამ ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში გაანადღა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა.

ბათუმის მშრომელები მზად არიან ახალ წელს კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმუშაონ საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბათუმი. ლენინის ქუჩის ერთი კუთხე.

ფოტორეპორტაჟი



ბორჯომი. ლიკანის სანატორიუმი.

• • •

ზღაპრული სილამაზის ხეობა

ვის არ სმენია ბორჯომის სახელი ჩვენს სამშობლოში, ვინ არ მოხიბლულა მისი ბუნების ზღაპრული სილამაზით, ვის არ უგემია მსოფლიოში განთქმული მისი მინერალური წყალი.

მწვანეში ჩაფლულა ქალაქი-კურორტი, ხეთა ჩრდილებში ჩამალულა მრავალი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი...

მაგრამ ადამიანები როდი სჯერდებიან მარტო ბუნების მზამზარეულ ჯილდოს. ყოველწლიურად ალამაზებენ და ამშვენიერებენ კურორტ ქალაქს. იზრდება სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ობიექტების ქსელი. გასულ წელს საკურორტო სამმართველომ კარგად მოაწყო ფიზიოსამკურნალო, კაპიტალურად შეაკეთა ყველა სანატორიუმი, პოლიკლინიკაში მოაწყო რენტგენის ახალი კაბინეტი. მდინარე ბორჯომულას მარჯვენა ნაპირზე 300 გრძივ მეტრზე ამოიყვანეს საყრდენი კედელი და გაავლეს მოაჯირი, მთლიანად მოასფალტებულია ჯორჯაძის ქუჩა. ქალაქის ქუჩების, კურორტის გზების ნაპირებზე დაირგო ათასობით დეკორაციული მცენარე, მოეწყო სკვერები და ყვავილნარები.

ქალაქის კეთილმოწყობაზე მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულა ქალაქის საბჭომაც — გაფართოვა კოკინაკის ქუჩა, მოასფალტა სტალინის სახელობის მოედანი და შრომის ქუჩ

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩინეთი



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ აუცილებელი საფუძველი შექმნა ჩინელი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. სწრაფად იზრდება ჩინელი ხალხის კულტურული დონე. 1952-1954 წლებში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა 38 პროცენტით, საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი კი 44 პროცენტით. 1954 წელს დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობამ 51.190 ათასს მიაღწია. იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მშენებლობის მოთხოვნილება, გათვალისწინებულია გადიდდეს უმაღლეს სასწავლებლებში მიღება, რის შედეგადაც სტუდენტთა საერთო რიცხვი წელს 290 ათასს მიაღწევს. **სურათზე** — (ზემოთ) პეკინის რკინისა და ფოლადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც ლაბორატორიაში მეცადინეობენ.

ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია და სახალხო-დემოკრატიული მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებისათვის. სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს ენერგეტიკული ბაზის გაფართოება წარმოადგენს. ახლა იქ შენდება ბევრი ახალი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. ამჟამად ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ელექტროენერგიის გამომუშავება სამნახევარჯერ სჭარბობს ომამდელ დონეს. მარტო 1954 წელს ელექტროენერგიის წლიური წარმოება რესპუბლიკაში გაიზარდა 1 მილიარდ 240 მილიონ კილოვატსაათით. **სურათზე** — ვირსკის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალი.



მონღოლეთი

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა მეცხოველეობა. იზრდება პირუტყვის სულადობა. ამჟამად რესპუბლიკაში 240 სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებაა, რომლებშიც საფულად-ნატურალური ანაზღაურება ამავე პერიოდში გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად. მნიშვნელოვნად უმჯობესდება სამანქანო-სათიბი სადგურების მუშაობა. **სურათზე:** სამანქანო-სათიბი სადგურის მუშები ამოწმებენ მანქანებს.

ზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა 1.900 ათასს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებათა ფულადი შემოსავალი 1954 წელს 66 პროცენტით გაიზარდა 1953 წელთან შედარებით. გაერთიანებათა წევრების შრომის



პოლონეთი

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებმა სახალხო ხელისუფლების წლებში დიდი წარმატებები მოიპოვეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში. პოლონეთის მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1954 წელს ომამდელი 1938 წლის დონეს ოთხჯერ გადააჭარბა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1937 წელთან შედარებით 40 პროცენტით გაიზარდა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველზე მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე. რესპუბლიკაში მიმდინარეობს მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. მთელ რიგ ქალაქებში ჩნდება ახალი ქუჩები და უბნები.

ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ბიტლერელი ოკუპანტები მხეცურად სწვავდნენ და ანგრევდნენ პოლონეთის დედაქალაქ ვარშავას. მაგრამ ვარშავის მოსპობა არ შეიძლებოდა. იგი ნანგრევებიდან და ფერფლიდან აღსდგა დიდებულ ქალაქად, ახლა უფრო ლამაზი გახდა იგი, ვიდრე როდისმე ყოფილა. ვარშავა ახალი პოლონეთის მშენებელი ხალხის პატრიოტული შრომის განსახიერებაა. **სურათზე:** (ქვემოთ მარცხნივ) პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის ვარშავის ახალი საცხოვრებელი რაიონი — მარიენშტატი.

ალბანეთი

ახალი ცხოვრება დამკვიდრდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლებში. მშრომელი გლეხობა განთავისუფლდა მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის უღლისაგან. სახალხო მთავრობამ განახორციელა აგრარული რეფორმა, რომლის შედეგად მემამულეებსა და ფეოდალებს ჩამოერთვათ მიწა და გადაეცათ ღარიბ და საშუალო გლეხებს. რესპუბლიკაში იზრდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რიცხვი. ამჟამად ალბანეთში 242 სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივია. დარწმუნდნენ რა მეურნეობის კოლექტიური ფორმის უპირატესობაში, გლეხები მტკიცე რწმენით შედიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში. სოფლის მეურნეობაში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად პირველი ხუთწლედის პერიოდში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება გაიზარდა 24,3 პროცენტით წინა ხუთ წელთან შედარებით. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგად განუხრელად უმჯობესდება ალბანელი მშრომელების კეთილდღეობა. **სურათზე** — (წრეში) ალბანეთის მთიანი საძოვრების პეიზაჟი.

გულგარეთი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მოქმედებს ბევრი სამშობიარო სახლი, საბავშვო ბაგა, მუდმივი და სეზონური საბავშვო ბაღები, საზაფხულო ბანაკები, სკოლები. 1953 წელს დედათა და ბავშვთა დაცვისათვის 37.014.140 ლევი დაიხარჯა, ხოლო 1955 წელს ეს თანხა 51.903.310 ლევამდე გაიზარდა.

სახალხო ხელისუფლების გამარჯვებამდე ბულგარეთში იყო მხოლოდ 7 ბაგა. ახლა მათი რიცხვი 130-მდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდდა საბავშვო ბაღების რაოდენობა. 1944 წლის 9 სექტემბრამდე რესპუბლიკაში დღის 46 საბავშვო ბაღი იყო. ამჟამად მათი რიცხვი 450-ს აღწევს. ეს ბაღები მომსახურებას უწევენ 21 ათას ბავშვს. **სურათზე** — (ქვემოთ მარჯვნივ) დიმიტროვგრადის სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატის საბავშვო ბაღი. ამ საბავშვო ბაღში კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვები აზრდებიან.

პარიზის გაზეთები ნ. ა. ბულგანინის მოხსენებისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ

პარიზი, 30 დეკემბერი. (საკადესი). პარიზის გაზეთებმა დიდი ადგილი დაუთმეს ცნობებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ნ. ა. ბულგანინის მოხსენებისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ. მაგრამ თავიანთ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელმძღვანელების გამოსვლებისადმი გაზეთები ძირითადად გამოხატავენ სათაურებით, თავს იკავებენ კომენტარებისაგან. პარიზის მხოლოდ ზოგიერთმა დღევანდელმა გაზეთმა დაბეჭდა მოკლე კომენტარები ამ საკითხზე.

პარიზის ბურჟუაზიული გაზეთების კომენტარები ცხადყოფენ, რომ მათს გაბრაზებას ყველაზე მეტად იწვევს კოლონიალიზმის დაგმობა, რასაც შეიცავს ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები.

გაზეთი „კომბა“ ხაზგასმით აღნიშნავს „საბჭოთა ხელმძღვანელების დებულებათა ანტიკოლონიურ მიზანმიმართულებას“. გაზეთი აცხადებს, რომ აქედან საჭიროა გავაკეთოთ დასკვნა, და მოითხოვს „მთლიანად გადასინჯოს“ დასავლეთის პოლიტიკა აზიასა და აფრიკაში.

გაზეთი „ორორი“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნ. ა. ბულგანინის მოხსენების ამ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი მოითხოვდა და მოითხოვს აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი, ისევე როგორც სხვა სახეობის იარაღი, მათ შორის რაკეტის იარაღი.

გაზეთი „პარიზიენ ლიბერე“ საგანგებოდ დაწვრილებით ბეჭდავს ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის გამოსვლათა შინაარსს, მაგრამ თავს იკავებს კომენტარებისაგან.

გაზეთმა „ფიგარომ“ გამოაქვეყნა ნ. ა. ბულგანინის მოხსენების დაწვრილებითი შინაარსი სათაურით: „მარშალი ბულგანინი: 1955 წელი საერთაშორისო დარგში დაძაბულობის შენელების წელია, საჭიროა ბოლო მოელოს კოლონიურ სისტემას. ჩვენ ვესწრაფვით თანაარსებობის ხუთი პრინციპის უფრო ფართოდ გავრცელებას“.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის შესახებ ცნობის სათაურში გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს მის სიტყვებს: „ჩვენს ადეოლოგიურ განიარაღებას ისინი ვერასოდეს ვერ მოესწრებიან“.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ აღნიშნავს, ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ვამოსვლები ასახავენ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელიც საკუთარი შეესაბამება ყველა ხალხის და მათ შორის საფრანგეთის ხალხის სურვილებსა და მისწრაფებებს.

გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, რომ „საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების მოგზაურობა აზიის ქვეყნებში ისტორიული მოვლენაა, რომელსაც დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ შემდგომ განვითარდეს საერთაშორისო ურთიერთობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების უზრუნველყოფისა და განმტკიცების მიმართულებით“.

„იმ დროს, როცა არა მარტო აზიის ქვეყნები, — წერს „ლუმანიტე“, — არამედ ევროპისა და ამერიკის ბევრი კაპიტალისტური მთავრობაც კი... განამტკიცებენ თავიანთ ურთიერთობას სსრ კავშირთან, ჩვენმა მინისტრებმა გამოიწვიეს ჩვენი ქვეყნის იზოლაცია. ისინი მოქმედებდნენ ასე, დავიწყეს რა, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა საფრანგეთისათვის არის საწინდარი მისი უშიშროების, დამოუკიდებლობისა და მორალური ავტორიტეტისა მთელ მსოფლიოში“.

ინდოეთის პრესის გამოხმაურება ნ. ა. ბულგანინის მოხსენებისა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის გამო

დელი, 30 დეკემბერი. (საკადესი). ყველა დღევანდელი გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობს ნ. ა. ბულგანინის მოხსენებასა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ძოგზაურობის შესახებ.

გაზეთები ბეჭდავენ ორივე გამოსვლის შინაარსს, განსაკუთრებით გამოჰყოფენ რა იმ ადგილებს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ინდოეთის პოზიციას გოასა და ქაშმირის საკითხებში.

გაზეთ „ჰინდუსტან ტაიმსში“ შემდეგი სათაურებია: „ინდოეთის პოზიციის სრული მხარდაჭერა ქაშმირის საკითხში“, „პორტუგალიის მიერ გოას შენარჩუნება სამარცხვინო ფაქტია“.

ასეთივე სათაურები დამახასიათებელია სხვა გაზეთებისათვის.

გაზეთი „ჰინდუსტანი“ სათაურში აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელებმა თავიანთ გამოსვლებში ხაზგასმით განაცხადეს, რომ აზიას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ცხოვრებაში. გაზეთი „ნავ ბჰარატ ტაიმსის“ ერთ-ერთ სათაურში ნათქვამია, რომ ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლებში „განსაკუთრებით აღნიშნულია ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა“.

ყველა გაზეთი იუწყება, რომ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგები.

ჭაღარა მყინვარის წვერზე

„სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან ანოდეს არა დნებიან“, — როგორც თქვა დიდმა ილიამ, — იმ ადგილზეა აღმართული ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგური. მას საძირკველი მართლაც მარადიულ ყინულში აქვს გათხრილი. იგი ზღვის დონიდან 3.667 მეტრზე იმყოფება და საქართველოს ყველა მაღალმთიან სადგურზე ზეგით მდებარეობს. სადგური მეტეოროლოგთა პატარა ჯგუფისაგან — რვა კაცისაგან შედგება. უახლესი ხელსაწყოებით აღჭურვილი მოზამთრეები დღისით და ღამით აკვირდებიან ბუნებაში ამინდის ცვალებადობას — წვიმას, ქარს, თოვლს, ყინულის მოძრაობას, ღრუბლიანობას.

31 დეკემბერს ჩვენი გაზეთის რედაქცია საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს მეშვეობით დაუკავშირდა ყაზბეგის მაღალმთიანი სადგურის უფროსს ვ. სურგულაძეს და სადგურის კოლექტივს ახალი წელი მიულოცა.

აი რა გადმოგვცა „კომუნისტის“ მკითხველებისათვის ამბ. სურგულაძემ:

მეტეოსადგურთან მისასვლელ გზაზე თოვლმა ადამიანის ნატერფალი წაშალა. ნამქერმა ხევები ამოავსო. ახლა მოზამთრეები ფრთხილურად მოწყვეტილი ვართ სამყაროს, როგორც ოკეანეში გასული ხომალდის ეკიპაჟი დიდ მიწას, მაგრამ [illegible] ნი დიადი სოციალისტური ქვეყნის [illegible], [illegible] ...

ყველა პირობა გვაქვს შექმნილი, რომ პირნათლად მოვიხადოთ ვალი საამშობლოს წინაშე. ბუნების ვერავითარი სტიქია ვერ შეგვაშინებს. ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ 1956 წელს ჩვენი მუშაობა მხოლოდ საუკეთესო შეფასებას იღებდეს.

ახალწელს აქ ისეთივე სიხარულითა და ზეიმით აღვნიშნავთ, როგორც შინ. უზრუნველყოფილი ვართ პირველხარისხოვანი პროდუქტებით. საუკეთესო საჭმელები დაამშვენებს ჩვენს სუფრას, ხოლო კატეფონზე საყვარელ ჰანგებს დავუკრავთ.

31 დეკემბრის დილით ქარბუქი იყო, მერე გამოიდარა, ახლა მზეა, თვალისმომჭრელად კიაფობს ორწვერის კალთები, ყინვა 12 გრადუსია.

მოზამთრეთა კოლექტივი მოუთმენლად ელის იმ დროს, როცა კრემლის კურანტები დიდ სამუშაოთა ახალი წლის დადგომას გვაუწყებენ.

თბილისი

საახალწლო ნაძვისხეები

ზეიმითა და სიხარულით შეხვდნენ წუხელ თბილისის მშრომელები ახალ წელს. მრავალ ოჯახში აინთო საახალწლო ნაძვისხე, მხიარულ სუფრასთან შეიკრიბნენ მეგობრები.

მრავალფეროვანი ნათურებით გაჩირაღდნებული ქუჩები სავსე იყო მოზეიმე ხალხით. ქალაქის ბევრ ადგილას — ლენინის, გმირთა, მარჯანიშვილის მოედნებზე, ბალეოლოგიურ კურორტთან, სადგურ ნავთლუღთან და სხვ. აღმართულია უზარმაზარი საახალწლო ნაძვისხეები.

დღეს ამ ნაძვისხეებთან გაიმართება სახალხო სეირნობანი, მასობრივი ცეკვები, მოეწყობა საწარმო-დაწესებულებების, კულტურის სახლებისა და კლუბების თვითმოქმედი მხატვრული ანსამბლების გამოსვლები.

• • •

სურათზე: საახალწლო ნაძვისხე საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანზე თბილისში.

ფოტო ვ. გინზბურგისა და შ. გოქაძისა.

ხელოვნების ამბები

ოპერისა და ბალეტის თეატრში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ზამთარინარე სეზონის პირველ პრემიერად 30 დეკემბერს წარმოადგინა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ა. კერესელიძის ოპერა „ბერუჩა“ („ბაში-აჩუკი“), რომლის ლიბრეტო ეკუთვნის პ. გელეიშვილსა და შ. ჯაფარიძეს.

ოპერას დირიჟორობს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, დადგმა განახორციელა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა შ. აღსაბაძემ, მხატვრულად გააფორმა შ. ჩიქოვანმა, ცეკვებს დადგმა ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ზ. კიკალეიშვილს, ხორმეისტერია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ტერეშვილი.

მონაწილეობდნენ ზ. ანჯაფარიძე (ბერუჩა), ნ. ტუღუში (პირიმზისა), მ. ამირანაშვილი (პირიმზვარსა), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბ. კოკვეიშვილი (აბდუშაჰილი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. ხამაშურიძე, შ. ქუთათელაძე, ე. ხოჯაკაძე, ზ. სვანიძე, მსახიობები ი. შუშანია, თ. თაქთაქიშვილი, თ. მუშკუდიანი, შ. მეძველია, პ. თომაძე გ. ტორონჯაძე ვ. გრიგორიევი, ნ. ცინცაძე, ჯ. თალაკვაძე, ბალეტის მსახიობები ა. დვალი, მ. გოგიჩაიშვილი, გ. კამოლოვა.

მოძავალ მსახიობთა სპექტაკლები

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტთა მონაწილეობით ამ დღეებში წარმოდგენილ იქნა საკურსო სპექტაკლი — ა. ოსტროვსკის კომედია „მარჯვე ადგილზე“ დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ კ. პატარიძეს. სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხე კურსის მეხუთე ჯგუფის სტუდენტებმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის დ. ალექსიძის ხელმძღვანელობით პირველ სადიპლომო სპექტაკლად განახორციელეს უ. შექსპირის კომედია „მეთორმეტე ღამე“.

ქალაქის ქრონიკა

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

დადგა მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ამ დღეებში „თოვლის სამეფოდ“ გადაიქცა. 31 დეკემბერს საახალწლო ნაძვისხესთან ქალაქის პიონერ-მოსწავლეები შეხვდნენ საწარმოთა მოწინავე ადამიანებს, მეცნიერებს, მწერლებს, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მშვიდობისა და მეგობრობის V მსოფლიო ფესტივალის მონაწილეებს. არდადეგების დროს აქ ყოველდღიურად გაიმართება სხვადასხვა გართობა, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ დედაქალაქის თეატრების მსახიობები და სასახლის თვითმოქმედი კოლექტივები.

გარდა საახალწლო ნაძვისხისა, სასახლეში მრავალი ღონისძიება აქვთ შემუშავებული იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შინაარსიანად გაატარონ არდადეგები. ყოველდღიურად მოეწყობა ექსკურსიები დედაქალაქის ისტორიულ ადგილებში, მუზეუმებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, გაიმართება შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში. მოეწყობა საახალწლო კინოფესტივალი. მოსწავლეები ნახავენ კინოსურათებს „ლენინი ოქტომბერში“, „ლენინი 1918 წელს“, „აჩრდილები სტოვებენ მთებს“, „გაზაფხული მოსკოვში“, მულტიპლიკაციური ფილმების კრებულს და სხვ.

ახალი საცხოვრებელი სახლები

1956 წელს ბევრი თბილისელი ხვდება ახალ კეთილმოწყობილ ბინებში. ესენი არიან ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, რომლებმაც საახალწლო საჩუქრად მიიღეს 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლი ავჭალის გზატკეცილზე, საქართველოს სასურსათო საწარმოთა მშენებლობის სამონტაჟო ტრესტის თანამშრომლები, საქელექტროქსელმშენის მუშა-მოსამსახურეები და სხვ.

დამთავრების პროცესშია და უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 5-სართულიანი საცხოვრებელი სახლი შუმიანის ქუჩაზე, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის საცხოვრებელი სახლი კომკავშირის ქუჩაზე. უკანასკნელი სამუშაოები მიმდინარეობს მაცივარკომბინატის საცხოვრებელ სახლში ნანეიშვილის ქუჩაზე.

სულ გასულ წელს დედაქალაქის მცხოვრებლებმა მიიღეს 48.510 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

«საქართველოს კომუნისტი» № 12

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 12.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შესახვედრად, **სტატიები: ს. ბერიძე** — ი. ბ. სტალინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, **ვ. ლობჟანიძე** — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიადი თანამეგობრობა, **ნ. ჩახვაშვილი**—1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, **შ. გოზალიშვილი** — მხატვრული ლიტერატურა რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდის ქართულ ბოლშევიკურ პრესაში, **დ. მჭედლიშვილი** — სკოლა — ყურადღების ცენტრში!

პარტიული ცხოვრების განყოფილებაში დაბეჭდილია შემდეგი წერილები: **თ. ჯანელიძე**— საქართველოს კომკავშირი სამეურნეო წარმატებებისათვის ბრძოლაში, **ე. სამსონიძე** — ახალი ამოცანების დონეზე დავაყენოთ საკონსულტაციო მუშაობა, **ა. ჯავახიშვილი** — უკეთესად მოვამზადოთ პარტიული კრებები.

განყოფილებაში **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია** დაბეჭდილია სტატია: **ჯ. კირვალიძე** — საინტერესო ნაშრომი შემეცნების მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებზე.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე პარტიული ქრონიკა.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია მადლობას უხდის კავშირგაბმულობის მუშაკებს ბლახინს (მოსკოვი), შირშოვას (ვლადივოსტოკი), ამირზადიანს, ბახუტაშვილს, ორაპკინას, გრიგორიანს, კორინთელსა და შახმატოვს (თბილისი), რომლებმაც უზრუნველყვეს რედაქციის დაკავშირება ვლადივოსტოკთან, ჩორნი რინოკთან და ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურთან.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — შჩელკუნჩიკი (დილას), ქეთო და კოტე (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ტარიელ გოლუა, **მარჯანიშვილის სახელობის** — უცნობი ქალი (დილას), ნანა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ბრალდება (დილას), გვარის დაუსახელებლად (საღამოს), **სომხური დრამის** — ალისფერი ყვავილი (დილას), სასიძოები (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისწული (დილას), სალხინობელი (საღამოს).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, გორკის სახელობის კულტურის სახლი — მაქსიმე პერეველიცა, ამირანი, სპარტაკი, **თბილისი, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის, კიროვის სახელობის პარკი** — მაგდანას ლურჯა, **კოლხიდა, ოფიცერთა სახლი** — ლილიომფი.



პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.